იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი მონიღომებს მიიღებს ომში, ან ჩათვლის, რომ უშუალოდ მას ემუქრება ომი, მას აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ აკრძალოს ან დაუშვას ნებისმიერი სამხედრო ხომალდის შემოსვლა სრუტეებში. ხოლო თუ თურქეთი ომში არ იმონიღივებს, სრუტეები დახურული უნდა იყოს ომის მონიღივ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

კრემლის ინფორმაციით, სარაკეტო კრეისერი ამერიკული თავდაცვის სისტემების შემადგენელი სეგმენტის პოზიციას დაიკავებს შავ ჯღვაში. არადა, საკუთარ საზღვრებთან ნატო-სა და რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების ხსენებაც კი, კრემლს ისტერიაში აგდებს და სერიოზული აუიოტაჟის საფუძველიც ხდება. რატომ? ყველაფერი ძალზე მარტივადია: რუსი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ოპერატიული ფლოტის გემების რეგულარული ყოფნა შავ ჯღვაში (რუს სამხედრო ექსპერტებს დაუთვლიათ კიდევ, რომ 1990 წლიდან დღემდე ამერიკული სამხედრო გემები ორასჯერ შემოსულან შავ ჯღვაში!), ამერიკული დროშის დემონსტრირება და იარაღის გამოყენებისთვის მზადყოფნა ამერიკული გავლენის გამყარებისკენაა მიმართული, ვინაიდან აშშ მიიჩნევს, რომ კავკასიისა და შავიზღვისპირეთის კონტროლი მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია. აქედან გამომდინარე, რუსეთი, როგორც ჩანს, აცნობიერებს, რომ მის ბატონობას შავ ჯღვაზე ყავლი გაუდის და ერთხელაც მას იქედან ფეხს ამოუშვებენ.

მოსკოვის პანიკა არცთუ უსაფუძვლოა, რადგან, როგორც პოლიტოლოგები ასკვნან, ამერიკამ დაიწყო საკუთარი გემის რეალიზება შავი ჯღვის ზონაში რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარის კომპონენტების განთავსების თაობაზე. გარდა ამისა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რუსეთში იმასაც ფიქრობენ, რომ აშშ-მა ასევე დაიწყო მუშაობა მონტრიოს კონვენციის გადახედვასთან დაკავშირებით, რათა გააუქმოს ის შეზღუდვები, რომლებსაც ეს კონვენცია უნებს არაშავიზღვისპირეთის სახელმწიფოებს, მით უმეტეს, რომ რუსებმა ამერიკულ კრეისერზე საშიში წარწერა ამოიკითხეს: იმოქმედე სწრაფად! დაარტყი გადაწყვეტად!

ოსი ხალხის ნებით არჩეულმა პრეზიდენტმა ჯიოევამ ბოლომდე ბრძოლა გადამწყვიტა და გარდა იმისა, რომ სასამართლოს მიმართა, კოკოითთან ერთად რუსეთი დაადანაშაულა უსამართლობისთვის ხელის შეწყობაში. თანაც, არც აცია და არც აცხელა, მუქარაც კი შეუთვალა კრემლს: სიტუაციის მოსაწესრიგებელ-მომრიგებელად გამოგზავნილი პირი შეცვალე, თორემ საერთოდ უარს ვიტყვით კრემლის ემისრებთან კონსულტაციებზეო. აი, ამან კი საბოლოოდ გამოიყვანა მდგომარეობიდან რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი და სამხრეთ ოსეთი (და არამხოლოდ ჯიოევას მომხრეებს) მიანიშნა, თავი მართლა დამოუკიდებელი სახელმწიფო ხომ არ გგონიათ, ერთი მცირე ტერიტორიული წარმონაქმნი ხართ და ჭკუით თუ არ მოიცქევით, ანუ ჩვენს ნება-სურვილს თუ არ შეასრულებთ, დაისჯებითო: იქ სხვადასხვა კლანების წარმომადგენლები ჩხუბობენ, რაც საერთოდ დამახასიათებელია მცირე ტერიტორიული წარმონაქმნებისთვის, სადაც მსგავსი დავები პერიოდულად იმართება ხოლმე.

მედვედევმა ხაზი გაუსვა, რომ ის კვლავაც გაგზავნის ამ მცირე ტერიტორიულ წარმონაქმნში საკუთარ შუამავლებს, რათა ადგილობრივი კლანები დაამშვიდოს და ოსები აიძულოს, შეინარჩუნონ ყველა ის გადაწყვეტილება, რომლებიც მანამდე იყო მიღებული. თანაც, ურჩევს მათ, პასუხისმგებლობა თავად აიღონ ყველაფერზე და მოსკოვისკენ თითი არამცდარამც არ გაიშვირონ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემებს ჰპირდება.

მართალია, რუსეთის პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა ლამაზად შეფუთა და ლია ტექსტებით არ უსაუბრა, მაგრამ ყველამ ძალზე იოლად ამოიკითხა სტრუქტურის მქონე რეალური აზრი: სამხრეთ ოსეთი რუსეთის კუთვნილი ტერიტორიაა და იქ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამას კრემლი გადაწყვეტს!

1996 წელი, 18 მარტი, დილის 10 საათი.

შედავ, იმართება მსოფლიო მნიშვნელოვანის შეკრება კლინტონა ანა ძვეჩნისა. შავ ჯღვაზე დგანან ამერიკის გემები.

1996 წელი, 18 სექტემბერი, საღამოს 5 საათი.

მოკლედ, მოგვალში საპარტიველოს საზღვრები ჩაიკეტება სანიმდომო. შავი ჯღვა აუცილებლად გახდება სტრატეგიული ცენტრი ამერიკისა და ევროპისა. შედავ სამხედრო გემებს ნატოს შეიარაღებული ძალების ემგლებით. რუსეთი წინააღმდეგ ვეღარ წავა.

1997 წელი, 27 მაისი, დილის 11 საათი.

შავი ჯღვა ყურადღების ცენტრში მოექცევა. შედავ გემების კარად. უკრაინა! რაგადიფო სამხედრო გემი. უკრაინასთან შეთანხმებასა და მოლაპარაკებას შედავ გემების თაობაზე.

2008 წელი, 9 სექტემბერი, ურემი, დილის 5 საათი.

შედავ, რომ რუსებმა დაკარგეს უკრაინაც. უკრაინელთა ყოველთვის სწულდათ რუსები და მართალიც იყვნენ. მოკლედ, ნატოს გემები შევლენ ყირიშიც. წარმოუდგენელია? წარმოუდგენელი, ბატონო, ეს წინასწარმეტყველებაც ასრულდება!

2008 წელი, 20 ნოემბერი.

შავ ჯღვაზე ამერიკულ გემებს შედავ. ეს ვითომ სწავლავათანაა დაკავშირებული, სინამდვილეში კი ნატო — ამერიკა უფრო იმყარებს, იყარითვებს არააღს შავ ჯღვაზე. ეს რუსეთს აკლიან გააღივიანებს

2009 წელი, 2 ივნისი, თბილისი.

შედავ კიდევ ახალ სამხედრო სწავლებებს — სხელებითაც და წყალზეც. შავ ჯღვაზე შედავ ამერიკულ სამხედრო გემებს. მოკლედ, რუსეთის სამხედრო მანქანებს არც ამერიკელი სამხედრო მანქანები ჩამორჩებიან. ეს არის პასუხი ამერიკის მთავრობისა: ჩვენ საპარტიველოს ვიცავთ!

2010 წელი, 9 ივნისი, თბილისი.

შედავ, ამერიკა არაფრის უთმობს რუსეთს. იტყვიან, რომ საპარტიველოს ტერიტორიების საკითხი გვიარდავს განივსო, ანუ რუსეთს დაუთმავს, მაგრამ ეს დიდი ტყუილია. ზუსტად საპარტიველოს საკითხია აბტუალური ამერიკისთვის და არცერთ შემთხვევაში ამ



რონალდ დ. ასეუსი

მ ს ი რ ე მ შ ი,

რომელმაც მსოფლიო უშპრა

სამართლებლო, რუსეთი და დასავლური საზღვრის მოხაზვალი

(დასაწყისი №49-61)

თბილისმა საკმაოდ ავნო საკუთარ ინტერესებს, რადგან ხშირად აკრიტიკებდა გერმანიას — სწორედ იმ ქვეყანას, რომელიც კონტინენტზე დიდწილად ქმნიდა ამინდს აღმოსავლეთის მიმართ პოლიტიკის განსაზღვრაში. სააკაშვილის საყვედურები ევროპის უმოქმედობის თაობაზე ხშირ შემთხვევაში მიმართული იყო უშუალოდ ბერლინისკენ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ალიანსის შიგნით ერთგვარ ტროას ცხენად აღიქვამდა და რუსეთისადმი ლოიალობასა და საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვის შეფერხებაში სდებდა ბრალს. თბილისს არ გააჩნდა არანაირი ქმედითი სტრატეგია გერმანიის მხრიდან დასმულ კითხვებზე საპასუხოდ, მისი ეჭვების გასაქარწყლებლად თუ ევროპის ამ უმძლავრეს სახელმწიფოში საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. თავის მხრივ, ბერლინსაც მიაჩნდა, რომ სააკაშვილი რუსულ საფრთხეს აზვიადებდა, რათა საკუთარი დემოკრატიული გადაცდომებიდან ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანა. გერმანელები შიშობდნენ, რომ ეს ფიცხი ლიდერი გერმანიასა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრევდა. შესაბამისად, ბერლინში სულაც არ სუფევდა ისეთი ენთუზიაზმი საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, როგორც ვაშინგტონში.

ზოგადად გერმანელთა სკეპტიციზმი საქართველოსთან დაკავშირებით, თავად მერკელსაც გადაეღო: ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყო ნამყოფი საქართველოში და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში და როგორც ფიქრობდა, კარგად იცოდა, რამხელა გზა ჰქონდათ ჯერ კიდევ გასავლელი, ვიდრე ისინი დასავლეთის ნაწილად იქცეოდნენ. კიდევ უარესი — მისი პირველი შეხვედრა სააკაშვილთან ნავი აღმოჩნდა: ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი განსხვავება, რაც წარმოშობით ჩრდილოეთგერმანელ, თავშეკავებულ, განონასწორებულ კანცლერსა და ფეთქებად, ენერგიულ სააკაშვილს შორის შეუთარალებელი თვალთაღაც შეინიშნებოდა. მიუნხენში, ყოველწლიური უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში, ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, მცირე ხანს ისაუბრეს და ამ საუბართან დაკავშირებით ორივეს უსიამო შთაბეჭდილება დარჩა. მერკელმა სცადა, ხაზი გაესვია, რა მნიშვნელობას ანიჭებდა კანონის უზენაესობასა და სასამართლო რეფორმას — ამასთან დაკავშირებით, გერმანიის მიერ დაფინანსებული მოსამართლეთა სწავლების პროგრამაც გაიხსენა, სააკაშვილმა კი, რომელსაც ეს პროგრამა არაეფექტიანად მიაჩნდა, კანცლერის მოსაზრებებს ყური არ ათხოვა და შეეცადა დაერწმუნებინა — საქართველო ისედაც სწორი გზით მიდისო. მერკელმა მისი ნათქვამი არ დაიჯერა. საბოლოოდ, სააკაშვილმა ჩათვალა, რომ გერმანიის კანცლერს საქართველოს შიდა ვითარების თაობაზე და დასახულ მიზნებზე საკმაოდ ზერულე წარმოდგენა ჰქონდა. მერკელს მერკელის თანაშემწეები იხსენებდნენ — ჩვენს კანცლერს ამაზე უარესი შეხვედრა არასდროს ჰქონიაო...

როცა ბუში და მერკელი 2006 წლის გაზაფხულზე სტრასლუნდში, ბალტიის ზღვის ნაპირზე ერთმანეთს შეხვდნენ, მათ შორის სრული აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლებოდა საქართველოს მისწრაფებათა ხელშეწყობა. ამ თემაზე მომდევნო ორწლიანხვედრის განმავლობაშიც არაერთხელ უმსჯელიათ, თუმცა, ვერცერთხელ ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე — იმის მიუხედავად, რომ მათი პირადი მეგობრობა სულ უფრო ღრმავდებოდა. ზოგჯერ ამაზე თავდაც კი ხუმრობდნენ ხოლმე. როცა მერკელი 2007 წლის ნოემბერში ბუშის რანჩოს სტუმრობდა კროუფორდში, სააკაშვილს სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდა გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში და საპროტესტო აქციებიც — დარბეული. პრეზიდენტი სტუმარს გაეხუმრა — არ მითხრა ახლა, ხომ გეუბნებოდიო! — სააკაშვილის დემოკრატიული ინსტიტუტებისა თუ მათი ნაკლებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ბუშს ძალიან მოსწონდა მერკელი და დიდ პატივს სცემდა. დარწმუნებული იყო, მათ ერთნაირად ესმოდათ თავისუფლებისა და დემოკრატიის განვრცობის აუცილებლობა და საქართველოს საკითხში თანამშრომლობასა და კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობის იმედსაც არ იწურავდა.

ბუშს ესმოდა, რომ მერკელისათვის ქართველებსა და სააკაშვილთან დაკავშირებით უმთავრესი პრობლემა მათი ქცევა იყო. გრძობდა, რომ მერკელი განსხვავდებოდა თავისივე ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტიინ-მაიერისგან, რომლის მიმართ ბუშს ნაკლები ნდობა ჰქონდა. ბუშის ადმინისტრაციაში შტიინმაიერს გერმანულ შრომადერის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ის მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთისთვის კოჭის გორებასა და არასაკმარის — ზოგადად მთელ ევროპაში — თავისუფლებისა და დემოკრატიის მხარდაჭერას. აი მერკელს კი ბუში ისეთ პიროვნებად განიხილავდა, ვისაც შეეძლო მოსკოვისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თუკი საკითხის სამართლიანობაში დარწმუნდებოდა. შინაგანად გრძობდა, რომ ის და მერკელი ერთნაირად აცნობიერებდნენ საქართველოს სისუსტეებსა და გადაცდომებს. მათი ანალიზი იმაშიც ემთხვეოდა ერთმანეთს, რა ეტაპზე იმყოფებოდა საქართველო და რისი გაკეთება ესაჭიროებოდა.

უთანხმოება იმაში ვლინდებოდა მხოლოდ, როგორი უნდა ყოფილიყო ნატო-ს პოლიტიკა ამასთან დაკავშირებით: ბუშის რწმენით, საუკეთესო გზა, რაც საქართველოს პრობლემების დაძლევაში დაეხმარებოდა, დასავლეთთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება იქნებოდა და არა მისი შორით ჭყრეტა. ამერიკის პრეზიდენტს არანაირი მიაშიტური ილუზიები არ ჰქონია არც მთლიანად საქართველოსა და არც მისი პრეზიდენტის მიმართ — უბრალოდ, მას უნდა გადაეწყვიტა, როგორ შეიძლებოდა არსებული პრობლემების უკეთ მოგვარება; ბოლოს და ბოლოს, ნატო-ს წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც არ იყვნენ მთლად თითით საჩვენებლები და ალიანსში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე კრიზისიცა და გაჭირვებაც ბევრმა გამოიარა. **ბუშს მიაჩნდა, რომ სააკაშვილის მხედვარის მართლაც, რომლის წინასწარ განმარტებაც უშუალოდ იყო, ყველაზე უკეთესი საშუალება იყო მხარდაჭერით მოხერხდებოდა და არა მის იმედგაზრდა ცივი წყლის გადასხმით.**

საქართველო უდიდეს რისკს წევდა, როცა რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, დასავლეთისკენ ცდილობდა სვლას და ბუშის ღრმა რწმენით, ნებისმიერი მისი მეგობარი და მოკავშირე უკვე, თუნდაც, პრინციპების გამო, უნდა დასგომოდა გერმანიას.

გერმანია არ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა უკრაინა-საქართველოს და მათ მაპ-ში ჩართვას ენი-ნაღმდეგებოდა. არანაკლებ სკეპტიკურად იყო განწყობილი საფრანგეთიც, თუმცა თავად ნატო-ს შიგნით ბანქოს ერთგვარი ჯოკერის როლს თამაშობდა. თავდაპირველად ნატოს გაფართოების იდეისადმი ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი, ალბათ, სწორედ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გახლდათ: პარიზი ისტორიულად ევროპის უფრო ვიწრო ხედვისკენ იხრებოდა, ამბივალენტურ პოლიტიკას ატარებდა როგორც ამერიკის გავლენის, ასევე ნატო-ს როლის გაზარების თვალსაზრისითაც და მოსკოვთან საკუთარ მჭიდრო ურთიერთობასაც აშშ-ისა და გერმანიის დაბალანსების ჭრილში განიხილავდა. ნატო-ს გაფართოება ამგვარი ხედვის გადასინჯვისა და ნატო-სა და ამერიკის გავლენის გაძლიერებას მოასწავებდა. თუმცა, თავდაპირველი წინააღმდეგობის შემდეგ, საფრანგეთმა მაინც შეცვალა კურსი და მადრიდის 1997 წლის სამიტზე, ვაშინგტონისთვისაც კი მოულოდნელი ინიციატივებით სწორედ შირაკი გამოვიდა გაფართოების ერთ-ერთ უმთავრეს მომხრედ. ეს გახლდათ პარიზის მცდელობა, საუკეთესო შედეგი მიეღო იმ პოლიტიკიდან, რომელიც სწამდვილში, არასდროს ესაბებოდა გულზე.

მაგრამ 2007 წლის მაისისათვის, საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი უკვე არა შირაკს, არამედ ნიკოლა სარკოზის ეკავა და ხსენებული საკითხის მხრივაც საკუთარი ახალი კურსის გატარებას აპირებდა. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიისას, სარკოზიმ თავი საგარეო პოლიტიკის მართლებელად წარმოაჩინა და მუდმივად იძლეოდა დაპირებას — წინამორბედის პოლიტიკასთან საერთო არაფერი მექნებო. ეს არსად ისე ნათლად არ წარმოჩენილა, როგორც აშშ-სა და რუსეთთან ურთიერთობებში: სარკოზი საჯაროდ გაიძახოდა ვაშინგტონთან კავშირის გამყარების აუცილებლობასა და მსოფლიოში საფრანგეთისა და ევროპის გავლენათა მაქსიმალურ გაზრდაზე — სწორედ ამერიკასთან თანამშრომლობით და არა მასთან დაპირისპირებით. თუმცა შირაკისეული გზიდან გადახვევა ყველაზე მკვეთრად რუსეთის საკითხში გამოვლინდა: ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სარკოზიმ პუტინი თავზეხელაღე-

ბულ და პირსისხლიან ლიდერად შერაცხა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შირაკი, რომელმაც ანა პოლიტიკოსკაიას მკვლელობამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე, პუტინი საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. მან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედებად თავისუფლება და ადამიანის უფლებები დასახა და პარიზის მანამდელ ცინიკურ რეალპოლიტიკას გაემიჯნა. როგორც იმხანად ის პარიზში ჩასულ კოლეგებს ეუბნებოდა, ჩემსა და შირაკს შორის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ ჩემი წინამორბედი ანტი-ბუშისტი იყო, მე კი ანტიპუტინისტი ვარო.

სარკოზი, რომლის მამაც წარმოშობით უნგრელი იყო, ასევე განსხვავებულად უყურებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას. მან მკაცრად გააკრიტიკა შირაკი ამ ქვეყნების უგულვებელყოფისა და იმის გამო, რომ როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ერასის ომში აშშ-ს დაუჭირეს მხარი, საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი მათგან ხმის გაკმენდას მოითხოვდა... იმავე წინასაარჩევნო კამპანიის დროს სარკოზი არაერთხელ მიესალმა უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის სწრაფვას დასავლეთისკენ. მერე, უკვე როგორც პრეზიდენტი, მოსკოვში ჩასვლამდე ჯერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე დედაქალაქს ესტუმრა. თუკი შირაკი უარს აცხადებდა სააკაშვილის მიღებაზე, სწორედ საქართველოს პრეზიდენტი აღმოჩნდა სახელმწიფო მეთაურთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც სარკოზიმ ელისეს სასახლეში მიიწვია და მერკელისგან განსხვავებით, ძალიანაც მოეწონა.

სხვათა შორის, აბტიპრატული მიდრეკილება მისი გამო, სარკოზის არაერთი აკრიტიკებდა და იმხანა აბტიპრატული, ის უფრო ლოზოზიანად უყურებდა სააკაშვილის სტილსა და ნაკლუმანაზავსაც. ორივე ლიდერი კლიარი პიროვნება გახლდათ და აბტიური მხედვარისკენ იმუხვებდნენ ბული, ზოგჯერ მიხსნიან სავალ უშუალოდ გზავს აქვალან და პრეტოკულსა და დიპლომატიურ ფორმალუზას დიდად არც დაბიძგებდნენ.

სარკოზის ბევრი მოსაზრება ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, საფრანგეთის ჯერ კიდევ გოლიზმში ჩარჩენილი პოლიტიკური და დიპლომატიური ელიტისთვის, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. თავიდათავი საკითხი კი ის იყო, მოხერხდებოდა თუ არა სარკოზისეული მართხელა მგლის მიდგომებითა და ენერგიით, ფრანგული დიპლომატიური ტრადიციის ძველი გზიდან გადახვევა, თუ საბოლოოდ მაინც ძირძველი ფრანგული ხედვებისკენ დაბრუნება მოუწევდა. ორგანიზაცია მედიკოსები საზღვრების გარეშე დამაარსებლის, სოციალისტი ბერნარ კუშნერის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაც თითქოს ასევე წარსულის მემკვიდრეობასთან კავშირის განწყვეტაზე მიუთითებდა. გაპრეზიდენტების შემდეგ იგი მეგობრებში ხუმრობდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის აფეთქებაზე ვფიქრობ, ოღონდ ჯერ არ ვიცი, თანამშრომლები წინასწარ გავაფრთხილო თუ იქ დავტოვო. ამაზე ერთმა ხუმრობითვე მიუგო — ისინი თუ არ მიაყოლე, უეჭველად საბოტაჟს მოგიწყობენ და მთელ შენს საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებს ჩიხში შეიყვანენო. მოკლედ, ეს იყო მეამბოხე სარკოზი.

ოფიციალურად, საფრანგეთი საქართველოსა და უკრაინისთვის მაპ-ის მიცემას ეწინააღმდეგებოდა და მთლიანად იზიარებდა ბერლინის პოზიციას, მაგრამ სტუმრებთან — მათ შორის, ამერიკელებთან პირსპირ შეხვედრებზე საფრანგეთის პრეზიდენტი ამ ოფიციალურ განცხადებებსაც ემიჯნებოდა და იმ მოსაზრებასაც, თითქოს ფრანგულ-გერმანული მიდგომა სრულიად ერთგვაროვანი ყოფილიყო. პირად საუბრებში მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მოსწონდა სააკაშვილი, საქართველოს მისწრაფებებს თანაუგრძობდა და დახმარებისთვისაც მზად იყო.

მისთვის პროკლავა არ იყო თბილისის გადაცდომები დემოკრატიის კუთხით, არც რუსეთის გაღიზიანება უფროა. პროკლავა ის გაგანათავსებდა ურთიერთობაში ხედავდა: მიუხედავად ურთიერთობის გაგნვებას იერიდავდა — მით უფრო, რომ იმხანად იერიდავდა მთლად მიუგარულად ვარ იყო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვაშინგტონმა და თბილისმაც ნათელი დასკვნა გამოიტანეს: სარკოზი ოპორტუნისტული იქნებოდა და იმ შემთხვევაში, თუკი მერკელის გადმოხრება მოახერხებდნენ, არც ის გაუძალიანდებოდა მაპ-ის მიცემის საკითხს, ხოლო ფრანგულ-გერმანული თანხმობის შემთხვევაში, ალიანსის დანარჩენი წევრების წინააღმდეგობასაც ბოლო მოეღებოდა. ისიც სათქმელია, რომ თავად ვაშინგტონშიც,

მაპ-ის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობდა.

**ენიშნალობა ევროპულ მოქალაქეობაზე
წინააღმდეგობა თვალსაზრისით ჩანდა, სოლო
2007 წლის მიხედვით, სააკაშვილის მიერ
საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მისი
ყველაზე თავდაპირველი მხარდამხმარებელი
კი ცოტა ხნით ჩააგდეს.**

ბუშის ადმინისტრაციისათვის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ბოლო წელი იწყებოდა — ანუ, მისი მოქმედება ერთგვარად უკვე მხოლოდ ინერციული გახლდათ და ევროპაზე ზეგავლენის ბერკეტებიც — შესუსტებული. თუმცა, ეს ბერკეტები, სიმართლე ითქვას, არც არასდროს ყოფილა საკმარისად მძლავრი. ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობების წამყვან პირებს გარკვეული ეჭვებიც გაუჩნდათ: სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც და თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსიც თავდაპირველად მზად იყვნენ საქართველოსთვის მაპ-ის მიცემის თაობაზე მხარი დაეჭირათ — იმის მიუხედავად, რომ თავადაც ჰქონდათ ეჭვები ამ ქვეყნის ნატო-ში შესასვლელად მზადყოფნის დონეზე და მოკავშირეთა განსხვავებულ შეხედულებებთან დაკავშირებით.

**2007 წლის მოქალაქის უფლებების
რეგისტრაციის აქტივობა დიპლომატიის
ევროპულ კოორდინაციის საბაზისზე
განხილვა — მაპ-ის თემა დღის წესრიგში
მოხსნილია. ამგვარი განცხადებები, ცოტა
არ იყო, ნაქარაზი ჩანდა, რამდენადაც
პრაქტიკულად გულისხმობს არ ყოფილა
პოლიტიკური უფლებების დაცვა;
არადა, მთავარი სწორედ მისი აზრი
გახლდა, ის კი უწინდებურად მხარს
უჭირდა მაპ-ის მიცემას.**

ბუშის ადმინისტრაციის უმაღლესი დონის წარმომადგენელთა აზრით სხვადასხვაობა ნატო-ს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერისთვისაც აშკარა გახდა, როცა თებერვლის ბოლოს ენვია ვაშინგტონს. 2008 წლის 28 თებერვალს, აშშ პრეზიდენტთან შეხვედრის წინა საღამოს, სხეფერი რაისთან, გეითსთან და სახელმწიფო უსაფრთხოების მრჩეველ სტივენ ჰედლისთან ერთად იჯანსმა. საუბრისას რაისი და სხეფერი დაეთანხმნენ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით, მაპ-ი ზედმეტად წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

**მათი აზრით, ავსტრალია ბარაკობული კომ-
პრომიზის გამოცხადება; იმავე კომპრომიზული ში-
ნაარსის ფარგლებში რადაც ისეთი, განს-
ვავაპული იარაღების მოწოდება, რაც რუსი-
თის გამარჯვებად არ იქნებოდა ალქაულის.**

როცა მეორე დღით დე ჰოოპ სხეფერი პრეზიდენტს შეხვდა, სახტად დარჩა, რადგან ბუშმა უეცრად იმაზე წამოიწყო ლაპარაკი, როგორ აპირებდა მაპ-ის თემის წამოწმებას ბუქარესტის სამიტზე. მისი თქმით, მზად იყო მთელი ამერიკული დიპლომატიის ძალისხმევა გამოეყენებინა სასურველი შედეგის მისაღწევად. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ოვალური კაბინეტი გაოცებულმა დატოვა. იგი ივარაუდებდა იმპედარიყო, რა ხდებოდა ამერიკული პოლიტიკის კულუარებში. საქმეც ისაა, რომ პირადად ბუში ყოველთვის უფრო გულმხურავლედ ლობივობდა მაპ-ის იდეას, ვიდრე მისი უსაბლოლო გარემოცვა. რაისი და გეითსი პრეზიდენტის ერთგულებას ბოლომდე არ იზიარებდნენ. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო ორგანიზებული პროცესი, რაც მკაფიოდ გახდებდა აშშ-ის პოლიტიკას და ყველას თანამოაზრობას უზრუნველყოფდა. ამ მიზნით რამდენიმე საგანგებო შეხვედრაც კი გაიმართა პრეზიდენტთან უმაღლესი დონის პოლიტიკოსთა და დაზვერვის მაღალჩინოსანთა მონაწილეობით. ამ შეხვედრების მიზანი განსხვავებულ შეხედულებათა შეჯერება და პრეზიდენტის განწყობის ამერიკის ხელისუფლების ოციციალურ პოზიციად ჩამოყალიბება იყო.

რა ამოძრავებდა პრეზიდენტ ბუშს? მისი აზრით, ხსენებული საკითხი მთლიანად პოლიტიკური იყო და იგი ლიდერების დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო და არა დიპლომატიისა. ანუ ამერიკული პოლიტიკა ამ საკითხში სწორედ მას უნდა განესაზღვრა და არა მის მრჩეველებს. თვით სახლში გამართულ შემოსვენებულ შეხვედრებზე მან არაერთხელ დაუსვა შეკითხვა თანამემხმარებლებს — მაინც, რატომ უნდა წასულიყო ვაშინგტონი კომპრომიზზე? მისი აზრით, საქართველოცა და უკრაინაც უდიდეს რისკზე მიდიოდნენ, როცა ნატოში ცდილობდნენ განეწიანებინებინათ. ამ რისკთან შედარებით ის, რასაც ისინი ნატო-სგან ითხოვდნენ, მინიმალური რისკის შემცველი იყო ამ ორგანიზაციისთვის.

**თუკი საპარტილო და უკრაინაც ვხად
იყვნენ თავი გააღებოთ, გუშის თქმით, ამერიკა
უკვე მხოლოდ პრინციპის გამო უნდა დამდ-
გარიყო მათ გვერდით. პრაქტიკულად სულაც
არ აზიანებდა იმის წარმოდგენა, რა შიშაობა
მოხდებოდათ, თუკი ავსტრალიის ვირ ბაიტანდა.
მას, უზარალედ, იმ საპარტილო ბრძოლა სურ-
და, რასაც მართავდა იმინევიდა.**

ნატო 27 მოკავშირე სახელმწიფოსგან შედგებოდა და ბუშმა კარგად იცოდა, რომ ალიანსში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი, პრაქტიკულად, შუაზე იყო გაყოფილი. მას კარგად ესმოდა, რომ მაპ-ი წინააღმდეგობრივი თემა გახლდათ, მაგრამ ამავე დროს, იმ წლის გაზაფხულზე, ალიანსში შემავალი ბევრი ქვეყნის ლიდერი — ძირითადად, თუმცა არამხოლოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლები — მის ოვალურ კაბინეტში ადასტურებდნენ სურვილს, ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტს ბოლომდე ამოსდგომოდნენ მხარში. ბუშის თვალსაზრისით, საბოლოო გადაწყვეტილება

უნდა მიეღო სულ რამდენიმე ქვეყანასა და პირს, იმათ, ვისაც ხმის გადამწყვეტი უფლება ჰქონდათ, ანუ მას, მერკელსა და სარკოზის. მისთვის არც გერმანულ თვალსაზრისში არსებული განსხვავებები იყო უცნობი: მართალია, მერკელიცა და შტაინმაიერიც ეწინააღმდეგებოდნენ მაპ-ის მიცემას, მაგრამ სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო. ბუშს მიაჩნდა, რომ მერკელის შეხედულებები რუსეთის ფაქტორით არ იყო განპირობებული და მისი დაყოლიება ჯერ კიდევ მოხერხდებოდა: აკი მერკელიც აუცილებლად თვლიდა დემოკრატიისა და თავისუფლების არეალის გაფართოებას და არც მოსკოვთან დაპირისპირებას უფრო თხოვდა.

**გუშის იმედი ჰქონდა, პირად საუბარში
მოახარებდა ითავაზო სწორედ ამ განწყობა-
ზე გერმანიის ხელისუფლებას იმ წარმომად-
გენელთა პოზიციების მიუხედავად, რომლებიც,
მისი აზრით, მთავრად დიდ მხარდასაც
აძვივდნენ მოსკოვს. სოლო თუკი ვერაქის
დაყოლიება მოხარებდა, სარკოზისაც უკვე
ალბათ იმდენად სწორად აღიქვამდა. ის
ყველაფერი ნელ-ნელა ამერიკულ პოლიტიკის
განსხვავებად, თუმცა პრაქტიკულად უსრულს
ჩამო-
სასვლელად შინაგანად ვხად იყო.**

შესაბამისად, ვდრე მაპ-ის მინიჭების მომხრე-მონინააღმდეგეთა საჯარო კამათი სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა დიპლომატიურ დერეფნებში, კონგრესის დარბაზებში, მედიასა თუ ექსპერტთა წრეებში — ატლანტიკის ორივე მხარეს — ბუში სიმშვიდეს ინარჩუნებდა და მისი ადმინისტრაციაც დუმდა. სიმშვიდე და დუმობა ისე გაიწვია, რომ ბევრი მოკავშირე საგონებელშიც ჩავარდა — რა ჯანდაბას აპირებს ამერიკა! ამერიკელი დიპლომატები დააროგეს, აშშ-ის პოზიციასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე ეპასუხათ, პრეზიდენტს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიაო. ამასობაში ბუშმა სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს დაავალა, კერძო კულუარული დიალოგი წამოეწყო მერკელთან და სარკოზისთან შეთანხმების მიღწევის თაობაზე. საერთოდ, მერკელს რომ საგარეო საქმეთა მინისტრი არ დგომოდა ზურგს უკან, ბუშის აზრით, პირადად იგი გაცილებით უფრო დამყოლი იქნებოდა და მისი დათანხმებაც — ბევრად უფრო იოლი. მართლაც, დიალოგი იმდენად საქმიანი აღმოჩნდა, რომ ბუქარესტში რეალურად მიღწეულთან შედარებით უკეთესი შედეგიც კი იყო მოსალოდნელი.

საკავშილო თეთრ სახლს სამიტამდე დაახლოებით სავიციო კვირით ადრე, მარტის შუა რიცხვებში ენვია. ეს ვიზიტი მაპ-ის საკითხზე ბუშისა და მერკელის კიდევ ერთ ვიდეოკონფერენციას დაემთხვა და გერმანიის კანცლერმა სწორედ თეთრი სახლისკენ მიმავალ სააკაშვილს დაურეკა ტელეფონით. მანამდე მერკელმა საჯაროდ დაადასტურა საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემისადმი უარყოფითი დამოკიდებულება: ჯერ საკუთარი ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო განხილვასთან შეხვედრაზე, შემდეგ კი — უკვე მოსკოვში ვიზიტისას, რითაც თეთრი სახლი ნამდვილად არ გაახარა. სააკაშვილთან დარეკვის მიზეზიც ის გახლდათ, რომ გერმანიის კანცლერს სურდა, პირადად ეთქვა, რომ მხარს არ უჭერდა საქართველოსთვის მაპ-ის მიცემას და საქართველოს პრეზიდენტს დაბეჯითებით სთხოვდა, ამერიკულ კოლეგასთან მომავალი დიალოგისას ამ საკითხისადმი კომპრომისული მიდგომის შესაძლებლობაც განეხილა. როცა სააკაშვილი ბუშს შეხვდა, მერკელთან ამ საუბრის შინაარსიც გააცნო. ბუშმა გაიღიმა და უთხრა: შენ ლუქსემბურგი დაითანხმე, ანგელას მე მივხედავი.

მოგვიანებით, პრესასთან საუბარში, ბუშმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას და ბუქარესტის მოახლოებულ სამიტზე ჩამოავდო სიტყვა: მაპ-ი ნევრობას არ ნიშნავს, — ხაზგასმით განაცხადა მან. — ესაა პროცესი, რაც შესაძლებლობას მისცემს დაუბრკოლებლად მიიღონ ეს ქვეყანა ორგანიზაციაში. მჯერა, რომ ნატო-ც მოგვები დარჩება საქართველოს განეწიანებით; მოგებული დარჩება საქართველოც, როცა ის ნატოს წევრი გახდება. მე უკვე ვუთხარი ბატონ სააკაშვილს, რომ სწორედ ამგვარი მიმართვით ნარკვდებო ბუქარესტის სამიტზე. თავის მხრივ, გახარებულმა სააკაშვილმაც თქვა: მინდა მხოლოდ გადგინადოთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი თავისუფლების, დემოკრატიის, ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს საზღვრების დაცვისა და ნატო-სკენ ჩვენი სწრაფვის საქმეში მტკიცე მხარდაჭერისთვის.

ნატო-ს წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის ერთი უმთავრესი მიზეზი, ცხადია, რუსეთი გახლდათ — ანუ ის, რამდენად უნდა გაეთვალისწინებინათ მოსკოვის წინააღმდეგობა საქართველოსა და უკრაინისთვის ჯერ მაპ-ის მიცემის, მერე კი განეწიანების საკითხში.

ბუშისთვის რუსეთის პოზიცია საიდუმლო არ ყოფილა: როცა იგი 2001 წლის ივნისში პირველად შეხვდა სლოვენიაში პუტინს, სწორედ მაშინ წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: მე ამ კაცს თვალეში ჩავხედე. იგი უაღრესად პირდაპირ და საიმედო ადამიანად მიმაჩნია და გულიანადაც ვისაუბრეთ. ასე მგონია, მოვახერხე მის სულს ჩაენიერებოდა. მას შემდეგ ამერიკულ-რუსული ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა, თუმცა ეს ორი ლიდერი მაინც ინარჩუნებდა გულითად, შეიძლება ითქვას, მეგობრულ განწყობასაც კი. ბუშს არანირი ილუზია არ გააჩნდა არც პუტინის მზარდი ავტორიტარიზმისა და არც რუსეთის

უფრო ხისტი საგარეო პოლიტიკის მიმართ, რასაც დიდწილად ისევე ნავთობდოლარები ასაზრდოებდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ რუსეთის ლიდერთან პირადი დამოკიდებულების გამოყენებით, ახალი ცივი ომის წამოწყების საფრთხეს აცილებდა თავიდან. ვაშინგტონის დევიზი ასეთი გახლდათ — რუსეთთან თანამშრომლობა იქ, სადაც ეს მოხერხდება და რუსეთის პოზიციების შეკავება, სადაც თანხმობა ვერ ხერხდება.

**უკვე 2007 წლის განსხვავება პუტინმა
პირდაპირ განაცხადა სახელმწიფო მდივან
რაისსა და თავადაც მინისტრ ბაიტსს, რომ
საპარტილო ნატო-ში მთავანა წითელი ხაზის
გადალახვა იქნება. რა თქმა უნდა, მოსკო-
ში იმავე ტონით საუბრობდა, რითაც გასუ-
ლი სააკაშის 90-იან წლებში პოლონეთთან
თუ სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ
ევროპის ქვეყანათა დაკავშირებით და ეს
განგაზონს ზარად არ იქნა ალქაულის; არადა,
ამგვარად ეს დასავლეთისა და მოსკოვის
გეოგრაფიის მიმართ რუსეთის პოლიტიკის
გამაგვარების კიდევ ერთ სერიოზულ ნიშანად
უნდა განიხილათ.**

მაგრამ ბუშმა მინც ძველებურად განაგრძო საქართველოს მხარდაჭერაზე საუბარი; მას ეგონა, რომ სააკაშვილის მიმართ ამ მხარდაჭერის საჯაროდ გამოვლენა მნიშვნელოვანწილად შეაკავებდა მოსკოვის აგრესიას, თბილისთან მჭიდრო კავშირების დამყარება კი საქართველოს არჩეული კურსით სვლის საშუალებასაც მისცემდა და გარკვეული მცდარი ნაბიჯების გადადგმის განზრახვებზე აალებინებდა ხელს. მისი ერთი სტრატეგიული მიმართულება რუსეთთან თანამშრომლობას გულისხმობდა, მეორე კი პარალელური მიმართულებით ნატო-ს შემდგომ გაფართოებასაც ითვალისწინებდა. ამგვარმა სტრატეგიამ გასული საუკუნის 90-იან წლებში კი გაამართლა, მაგრამ ამჯერად რუსეთი უკვე სხვა სახელმწიფო გახლდათ; თავად მოსკოვის სტრატეგიაც არ გამორიცხავდა საერთო ინტერესების სფეროებში ვაშინგტონთან თანამშრომლობას, თუმცა რუსეთს ახლა მეორე მიმართულებაც გამოუჩნდა და ნატო-ს შემდგომი გაფართოების დაშვებას აღარანაირად აღარ აპირებდა.

პუტინმა და ბუშმა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში თავთავინათ მრჩეველებს დაავალეს, ახალი სტრატეგიული ჩარჩო-ხელშეკრულება მოემზადებინათ ბუშის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე. ორივე ლიდერს ისეთი დოკუმენტის შექმნა სურდა, სადაც ერთობლივად განუცხადებდნენ სრული სურათი იქნებოდა ასახული და ის სამომავლო სამოქმედო დღის წესრიგიც გამოიკვეთებოდა, რომელიც ორივე ამ პოლიტიკოსის სცენიდან წასვლის შემდეგაც იმუშავებდა. თეთრი სახლისთვის ცოტა არ იყოს გასაკვირად, პუტინმა ბუში სწორედ ბუქარესტის სამიტის დასრულების შემდეგ მიიწვია შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქ სოჭში პირისპირ შეხვედრაზე — შეთანხმების დასასრულებლად. ივრათუდებოდა, რომ ამით რუსეთის პრეზიდენტს სურდა ამერიკის ლიდერს ლამაზად გამოემშვიდობებოდა. მაგრამ თანხმობის მიცემამდე პრეზიდენტ ბუში ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა აეწონა დაეწონა და განეჭრიტა, როგორ აისახებოდა ბუქარესტის შედეგები სოჭის შეხვედრაზე.

არადა, წარმატებული და წარუმატებელი შედეგიც თავთავის რისკების შემცველი გახლდათ: თუკი ბუში ბუქარესტში მაპ-ის საკითხს თავისი შეხედულებისამებრ მოაგვარებდა, არსებობდა საფრთხე, რომ პუტინი ამ მომავალ სამიტს პროტესტის ნიშნად ჩაშლიდა, ანდა ისეთი უხეში დაპირისპირების ასაპრეზად აქცევდა, რომ მიუხედავად ნარმოთქმული მისი სიტყვა მონაგონი იქნებოდა. ბუში მზად იყო მიპატიჟება მიეღო, თუკი სრული გარანტია ექნებოდა, რომ მსგავსი არაფერი მოხდებოდა. მეორე მხრივ, თუ მაპ-ის საკითხი უარყოფითად გადაწყდებოდა და აშშ-ს პოზიციების დათმობა მოუწევდა, რუსეთთან ახალი შეთანხმების მისაღწევად სოჭში ჩასვლა, შესაძლოა ისე წარმოჩენილიყო, თითქოს მან საქართველოსა და უკრაინის ინტერესები აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაღრმავებას შესწირა მსხვერპლად. როცა პრეზიდენტმა ყველაფერი ეს აწონ-დაწონა, დაასკვნა, რომ ყველაზე უკეთესი ის იქნებოდა, თუკი ჯიქურ მიუდგებოდა საკითხს და პუტინსაც ყოველგვარი დიპლომატიური მიკვირ-მოკვირების დაუელაპარაკებოდა. ბუქარესტის სამიტის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე ის ტელეფონით დაუკავშირდა პუტინს. ამერიკის პრეზიდენტმა რუს კოლეგას უთხრა — მზად ვარ სოჭში ჩამოვიდე, ოღონდ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მიუხედავად ნარმოთქმული მისი სიტყვა მონაგონი იქნებოდა აპირებდა და თავის მხრივ, უნდოდა გავეგო, რა ეყო გულში პუტინს. რუსეთის პრეზიდენტმა უხუმრობაგაშვებით მიუგო — მგონი, ჩემი გეშინიაო. ამაზე ბუშმა უპასუხა, ის ამბავი მაშფოთებს, რომ მაპ-ის მიცემას ეწინააღმდეგები და კაცმა არ იცის, სამიტზე რას მოიმოქმედებო. მოკლედ, თუკი წინასწარი თანხმობა ვერ იქნებოდა მიღწეული, ორ ლიდერს გვარიანი წაკინკლავება მოუწევდა და ბუშის სოჭში ჩასვლასაც აზრი ეკარგებოდა. პუტინმა დააიმიება — ჩვენი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ბუქარესტში არანაირ კონფრონტაციას არ ვაპირებო. ნაწილობრივ, ამ პირობის გათვალისწინებით, ბუშმა გადაწყვიტა პუტინის მიპატიჟებაც მიეღო და ბუქარესტშიც ებრძოლა მაპ-ის საკითხის გასატანად.

(დასაწყისი 33.5)

— მოქალაქეები არჩევნებში დიდი წარმატებით გავლენ.

— ალორძინების კავშირი?

— ამ პარტიის სიძლიერეს ვერ ვხედავ. დიდი შეხლა-შემოსხლა მოხდება. ყველა პირველობას იჩემებს. ასლან აბაშიძეს დიდი ეჭვები ღრღნის. მისი პარტია არ არის მყარი და ამას დაადასტურებს მომავალი პარლამენტი.

— სოციალისტები?

— რჩეულიშვილები ნანინასწარმეტყველები მაქვს, რომ თუ იგი სხვა პარტიების გარეშე გადადგამს ნაბიჯებს, უფრო მოიგებს. არ უნდა შეეკრას არავის.

— ლეიბორისტები?

— ნათელაშვილი უკიდურესად იურიდიულად მიუდგა საკითხს, პოლიტიკა კი მარტო იურისტობა არ არის. ადვილია დაიპყრო, მაგრამ ძნელია მართვა, რისი ძალაც მას არ შესწევს. შალვას ახლა ალაღად ჰგონია, რომ მის ირგლივ ფარისევლები არ არიან, მაგრამ მისი პარტიის ბირთვში 99 პროცენტი ფარისეველია, რომლებსაც სკამები აინტერესებთ მხოლოდ. ამიტომ ლეიბორისტების დროშის ფრიალს ვერ ვხედავ.

— ედა?

— სარიშვილი-ჭანტურია ჭკვიანია. იცის რა და როდის, რატომ და რისთვის იყვიროს. მივა პარლამენტში და იქ ისეთ ძალებს შეეკრება, რაზეც დღეს კაცისწილი აზრზე არ არის. მეტს დღეს არაფერს ვიტყვი.

— საბოლოოდ, რა ბედი ელის ქართულ პოლიტიკურ სექტორს?

— საბოლოოდ ვხედავ ორად-ორ პარტიას — რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს. ესენი სულ სხვა პარტიებია და სულ სხვა ადამიანებით არიან დაკომპლექტებული.

— დაბოლოს, რას ეტყობით ჩვენს ხალხს, ჩვენს მკითხველს?

— საქართველო ძლიერია. იგი კავკასიის ცენტრად გადაიქცევა, დაწყებული კულტურით და დამთავრებული სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით. იმ რუკაზე, რომელიც მე დავინახე და დაეხაზე 1992 წელს, საგანგებოდაა აღნიშნული შავი ზღვის ზოლი, პორტები, აბრეშუმი გზა. შევხადე, საქართველო გარშემო იკრებს პატარ-პატარა ქვეყნებს (საერთო ჯამში ეს დიდი ტერიტორიაა), რა თქმა უნდა, სასწაულად მომძღაღრდება ჩვენი ქვეყანა.

მოსახლეობას კი ვეტყობდი, რომ დამშვიდდნენ. ჩემი ერი ძლიერია. აქ ვაზი არასდროს აიკაფება. ამ მიწაზე ქართველების გარდა ვერაფერი მოიკიდებს ფეხს.

დღეს ჩემს ხალხს ძალიან უჭირს და მინდა ვუთხრა მათ, რომ გაუძლონ, თავიანთი შვილებსთვის უნდა გაძლონ. მიხარია, მომავალი საქართველოს ხილვა, დანარჩენ მსოფლიოზე უკეთ ვიქნებით!

მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალი გახდება, მაგრამ საქართველოს არ შეეხება! რუსეთი დაშლილია და მეცოდება.

უფლის უნდა გვწამდეს! ყველაფერი დასუფთავდება, ყველას გაეცემა პასუხი.

ათი წლის წინ ვუთხრებოდი მერაბ კოკოჩაშვილს, ტრუბას ვხედავ-მეთქი. რა ტრუბა, რის ტრუბაო, გაიძახოდა. აგერ, აცხადდა და ეს ნავთობსადენიც და აბრეშუმის გზაც მთელი ერის კუთვნილებაა. ეს მალე გამოჩნდება.

დღეს ურთულესი პოლიტიკური ვითარებაა მსოფლიოში. ევროპას, ამერიკას უჭირთ ამ თვალსაზრისით, მაგრამ წარმოიდგინეთ — ისინი საქართველოზე ფიქრობენ. არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებენ ჩვენს ქვეყანას ხელიდან. ყოველთვის ამის შესახებ უზარმაზარი პროგრამა მაქვს შედგენილი და 50, 100, 200 წლის იქით ვიყურები. ამიტომ უნდა ნაიკითხოს ხალხმა ის, რასაც ვხედავ და ვწერ, რათა დამშვიდდეს და მიეცეს რწმენა! მართალია, ყოველდღიური გაჭირვების გამო ხალხს ავიწყდება ხოლმე ჩემი წინასწარმეტყველება, მაგრამ რასაც ვამბობ და რაც ახსოვთ, ის ნამდვილად სჯერათ. ეს ფსიქოლოგიურად დიდ დახმარებას გაუწევს მათ.

აგერ, შეხედეთ, დამეწვა ხელი, რადგან დიდ ენერჯის ვეებ იმაში, რასაც ვამბობ. უზარმაზარი ენერჯია იკრება საქართველოს თავზე, ძალიან დიდი დაცვითი წრე. მთავარია, ქრისტიანობას მოეუფრთხილდეთ.

ებრაელებმა ჩემში დაინახეს რწმენა. თავად ღრმად სწამთ თავისი სალოცავი, იმიტომ მცეს პატივი. მათ სწამთ ჩემი, ქრისტიანი წინასწარმეტყველის, იციან, რომ მე ღვთისგან მაქვს ბოძებული ეს ნიჭი. უცებ წაიშალა ზღვარი ჩემს ქრისტიანობასა და მათ იუდეველობას შორის. მოვა დრო და ამას ხალხი თვითონ შეიგნებს, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მაგრამ მანამდე დროის ეს მონაკვეთი ხომ რალაცით უნდა შევივსოს? ამიტომ პარლამენტშიც უნდა იჩნუბონ და უფახუნონ ერთმანეთს ბოთლები, პრეზიდენტს ვილაცამ ნერვები უნდა მოუშალოს, იქით ვილაცა იელოველებს უნდა ეცეს, აქეთ ათასი პრობლემა მოსაგვარებელი, მაგრამ გლობალურად რასაც ვწინასწარმეტყველებ — ასრულდება!

ზურაბ მჭედლიშვილი



ევროკავშირს კვლავ ეეუქრება გაზის ომი მოსკოვსა და კიევს შორის

კიევსა და მოსკოვს შორის კვლავ წამოიჭრა გაზის ომის საფრთხე. მაგრამ აქ კამათი ბუნებრივი აირის ფასზე მეორეხარისხოვანია. რუსეთისთვის მთავარია არა ფული, არამედ ძალაუფლება. ევროკავშირი კი ამას უყურებს და არაფერს აკეთებს.

აღმოსავლეთ ევროპაში, თუ მინიშნებებს დაკუთვნიებით, ისევ მნიშვნელოვანი კონფლიქტი, რომლის თაობაზეც ბრიუსელში ასე ამბობენ (სულ ცოტა, ფიქრობენ მაინც): ღმერთმა გვაშოროს ეს მხარე ფილა! რუსეთმა და უკრაინამ უკვე გადაიტანეს საგარეო კურსი ევროპისკენ აილო. ეს არ მოეწონა მეზობელ ვლადიმერ პუტინს, რომელიც წინასწარმეტყველებს კამპანიისას მხარს რევოლუციამდელ რეჟიმს უჭერდა. ამიტომ რუსულმა კონცერნმა გააშრომა შეამცირა ბუნებრივი აირის მიწოდება უკრაინის მიმართულებით.


ახლა ყველაფერი ბევრად სხვაგვარადაა. ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელსაც პუტინი წინასწარმეტყველებს ბრძოლაში ეხმარებოდა, 2010 წელს უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდა — სულ მცირე სხვაობით, სამი პროცენტით დაჯაბნა მეორე ტურში იულია ტიმოშენკო — მაგრამ მოსკოვსა და კიევს შორის ურთიერთობები მაინც გაფუჭდა და ახლა განწყობები იმაზე მეტად ცუდია, ვიდრე მანამდე იყო. ამასთან, ყველასთვის უკვე გასაგები შეიქნა, რომ მოსკოვს, რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშეს, პირველ რიგში ფული სულაც არ აინტერესებს. გააშრომა ხომ, რომელმაც რეკორდული შემოსავლები მიიღო, თავი მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიან კონცერნად გამოაცხადა. კრემლისთვის ახლა ისიც კი არაა მნიშვნელოვანი, კონკრეტულად ვინ დგას კიევის ხელისუფლების სათავეში. საუბარი მიდის იმაზე, თუ როგორ აქციონ უკრაინა დამჯერედ და როგორ დაუქვემდებარონ საკუთარ ძალაუფლებას. ბელორუსთან ურთიერთობაში პუტინმა ამ კუთხით ბევრს მიაღწია (ხაზგასმა ჩვენა. - რედ.). უკრაინასთან ურთიერთობაშიც, ახალი წლის დადგომასთან ერთად, მოსკოვის ტონი შეიცვალა. რუსეთში არსებულმა შიდაპოლიტიკურმა წნეხმა შესაძლოა აიძულოს პუტინი, სხნა საგარეო პოლიტიკაში ექებოს და ენერგეტიკულ საკითხებში ჩრდილოეთის ნაკადი მას მანევრირებისთვის ხალხსაძლებლობებს სთავაზობს. ახლა სრულიად დაუფარავი, ღია საუბრები მიდის გაზსატრანსპორტო ქსელზე. გააშრომის ხელმძღვანელი ალექსეი მილერ

ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები



ადამიანები, რომლებსაც სხვაგვარი სიტუაცია, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი მონაწილეობა სურდათ. მე ამას ვუშვებ და ეს ნორმალურია!

დმიტრი მედვედევი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.



და მისი ბირთვული ობიექტების განადგურება გარდაუვალი იქნება.

ვლადიმერ პუტინის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ინტერპოლის ბიუროს ექს-შეფი.

რი აცხადებს, რომ უკრაინის — მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის — გაზსადენი სისტემის ღირებულება 20 მილიარდ დოლარს არ აჭარბებს.

უკრაინა ჩივის, რომ მოცემულ მომენტში, ევროპის ყველა ქვეყანასთან შედარებით, ყველაზე მაღალ ფასს იხდის რუსულ გაზში — 416 დოლარს ათას კუბომეტრზე. ის უკვე დიდი ხანია ითხოვს, იხვეწება, მოითხოვს ახალი სელმეტყველების გაფორმებას, ვინაიდან 2009 წელს მიღებული და ამჟამად მოქმედი შეთანხმება არ იძლევა ფასდაკლების შესაძლებლობას. მაგრამ მოსკოვი ჯიუტად დგას თავისაზე. კიევი კი უკანასკნელ საშუალებას მიმართავს: მთავრობამ განაცხადა, რომ ახალი წლიდან რუსეთისგან ორჯერ ნაკლებ ბუნებრივ აირს შეისყიდის და ქვანახშირზე გადაერთობა...

სურათი არ იქნებოდა სრული სამკუთხედის მესამე მოთამაშის — ბრიუსელის გარეშე. უკვე დიდი ხანია მიდის მოლაპარაკებები უკრაინისა და ევროკავშირის ასოციაციის შესახებ, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის ზონასაც მოიაზრებს. შეთანხმება კიევი დეკემბერში უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ ევროკავშირის წარმომადგენლები ბაროზუ და ვან რომპეი ჩავიდნენ უკრაინაში, დაათვალიერეს იქაურობა და ხელი არაფერს მოაწერეს. როგორც ჩანს, ევროკავშირში განხეთქილებაა. უკრაინის მეზობლებს არ სურთ, რომ ეს პროცესი შეჩერდეს და მინიშნებას აკეთებენ იმაზე, რომ სელმეტყველების შემდგომი რატიფიცირება ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების მიერ, უფრო მეტად აიძულებდა კიევს, დაეცვა ევროპული სტანდარტები. ფედერალური ხელისუფლება კი პირიქით, გაურკვეველი მიზეზებით არ უჭერს მხარს ამ სტრატეგიას...

და რას აკეთებს ევროკავშირი? რაც შეეხება გაზის საკითხების გადაჭრას, აქ მხოლოდ სიტყვები ისმის. როგორც ბაროზუ აღნიშნა კიევში, პროგრამა აღმოსავლური პარტნიორობის ჩარჩოებში ევროსაბჭო ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, რომელიც, როგორც ცნობილია, ცვლას ექვემდებარება. მან მოუწოდა საზოგადოებას, გააკონტროლოს უკრაინისა და ევროკავშირის დაახლოების პროცესი, მათ შორის, ევროკავშირის ქმედებებიც კი. თუ ბაროზუ ამას სერიოზულად ამბობდა, მაშინ უკრაინასთან ხელმოწერილი თუ არა, მომზადებული შეთანხმება მაინც, ბოლოსდაბოლოს, უნდა გამოქვეყნდეს. ევროპულ საზოგადოებას, უკრაინელების ჩათვლით, უფლება აქვთ იცოდნენ, რაზე მიდის მოლაპარაკებები და რა დეცს ფსონზე. თორემ ერთ დღეს დებატები იმ თემაზე გაჩაღდება, თუ ვინ დაკარგა უკრაინა!



ენჯია და მას რჩევა და დახმარება სთხოვს ფრიად დელიკატურ საკითხში. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მიანიშნა პატრიარქმა საშობაო ქადაგებაში საზოგადოებისა და ხელისუფლების დახლოებას. აქაოდა, ეს სწორედ ის არის, რასაც მედვედევი ამბობს, ესე იგი, შესაფერო კანდიდატურაა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

გასაგებია, რომ პუტინს აუცილებლად ეცოდინებოდა ამ ვიზიტის თაობაზეც და მის შედეგებზეც. როგორც ამბობენ, ამით ის კმაყოფილი სულაც არ დარჩენილა და პასუხად, ეგრეთ წოდებულ, მართლმადიდებელ ჩეკისტებთან — სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ პოლტაჩენკოსთან და რუდ-ს პრეზიდენტ იაკუნიჩთან გააღრმავა კონტაქტები. ამით პატრიარქს უჩვენეს, რომ ახლანდელ პრემიერს დამოუკიდებელი რესურსები აქვს რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მაგალითად, საზოგადოებისა და ეკლესიის ურთიერთობათა სინოდალური განყოფილების ხელმძღვანელი პროტოიერეი ესევილოდ ჩაპლინი. მან დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ ისინი, ვისთან მოლაპარაკებებისკენაც მოუწოდებენ, სრულიად შესაძლებელია არიან! მაინც გაიზნენ და ვინც ცოცხალი გადარჩება — ადამიანი გახდება.

ამავდროულად პრესაში გაჩნდა მასალები, რომლებითაც უკვე ჩინოვნიკები ახდენენ მედვედევის დისკრედიტაციას „როსმალადიოის“ ხელმძღვანელმა იაკუმენკომ განაცხადა, რომ მედვედევმა ახალგაზრდობას მოლოდინი გაუცრუა და ვერ შეძლო იმის შესრულება, რაც პუტინმა დაავალა.

ასე რომ, მედვედევის ხელისუფლებისგან ჩამოცილება, შესაძლოა, სულაც არ განვითარდეს დაგეგმილ-გახმოვანებული სცენარით.



უმც უოქარი პროექტი პროსოროვი

წინასაარჩევნო კამპანიაში სამი თვით ადრე ჩაება და ამასთან არ აქვს გამოკვეთილი მანიფესტი. იმ პრობლებში, როცა პროტესტი ძლიერდება, ხოლო პუტინის რეიტინგი ეცემა, კრემლს თავისუფლად შეეძლო ეფიქრა, რომ მარტის საპრეზიდენტო არჩევნებს აუცილებელია მიეცეს ლეგიტიმურობის ხილული მტკიცებულება. პროსოროვი წაიღებს პერსპექტიული და მიმწინაო საშუალო კლასის ხმების ნაწილს, მაგრამ ეს სულაც არ შეუქმნის საფრთხეს პუტინს, ვინაიდან რუსების უმეტესობას ძველებურად სძულს ოლიგარქები. როგორც ყველაფერიდან ჩანს, პროსოროვისეული გამბეობა — ეს გავლენიანი კრემლელი პოლიტიკური მოღვაწის, სურკოვის უკანასკნელი გამოგონებაა, რომელსაც პროსოროვი ჯერ კიდევ შემოდგომაზე აკრიტიკებდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, სურკოვი, იყო რა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე და მთავარი იდეოლოგი, ასრულებდა მართვადი დემოკრატიის შექმნისა და ზედამხედველობის ამოცანას, როგორც ამას თავად კრემლის ოფიციალური წარმომადგენლებიც კი უწოდებენ. ჯერ კიდევ 2005 წელს ლიბერალმა პოლიტიკოსმა ირინა ხაკამაძემ, რომელიც საპრეზიდენტო პოსტზე აცხადებდა პრეტენზიას, განაცხადა ინტერვიუში, რომ რუსეთში არ არის დემოკრატია, არის მხოლოდ დემოკრატიული სივრცის ვირტუალური მატრიცა, რომელიც იმართება კრემლიდან. ის რეალობის იმიტაციას ახდენს. როგორც კი კრემლს დემოკრატიული ოპოზიცია უჩნდება, ავტომატურად იქმნება სხვა ოპოზიცია, რომელიც ლოიალურია კრემლისადმი. მაშინ ხაკამაძემ ისიც თქვა, რომ 2004 წელს, როცა მან პრეზიდენტად კენჭისყრა გადაწყვიტა, მისი მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ ხალხი მას სწორედ ამგვარი მატრიცის ნაწილად მიიჩნევდა.

რისკავს თუ არა მილიარდერი პროსოროვი, განვიხილონ ხოლოკოსპის ზაღი?

გასულ არჩევნებზე პუტინს რეალური კონკურენტები არ ჰყავდა. იყვნენ ჩვეულებრივი მონინალმდევრები სისტემური ოპოზიციიდან, ისეთები, როგორც ალიანს გენადი ზიუგანოვი და ნაციონალისტი ვლადიმირ ჟირინოვსკი, რომლებიც ახლაც მონაწილეობენ არჩევნებში. სხვა პოტენციური მონინალმდევრები, მაგალითად, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ლიბერალი გარი კასპაროვი ან რადიკალი ედუარდ ლიმონოვი ადრე საარჩევნო ბიულეტენებში ვერ ხვდებოდნენ.

რუსების უმეტესობა ეჭვობს, რომ ვითომ დამოუკიდებელი პოლიტიკოსები სინამდვილეში კრემლის მიერ ჩამორეგულირებულ როლებს ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ კრემლი ძალზე მოხერხებულად უარყოფს მის მონაწილეობას ამგვარი კრეატურების შექმნაში; იმდენად მოხერხებულად, რომ ეს უარყოფა სიმართლეს ძალიან ჰგავს. ამიტომაც მიდის ეს გაუთავებელი და უაზრო თამაში ამოცნობისთვის.

იქნებ პროსოროვიც, წერტილისა და მძიმის გათვალისწინებით, უზუსტესად ასრულებს კრემლის ბრძანებებს და გამოიწვევს დამოუკიდებელი სცენარის მიხედვით მოქმედებს? ან იქნებ მართლაც აქვს საკუთარი პოლიტიკური ამბიციები, მაგრამ მოქმედებს მხოლოდ კრემლთან კონსულტაციების შედეგად? ან იქნებ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი ინიციატივით აკეთებს და მას ამის უფლებას აძლევს, რადგან იგი ამ ეტაპზე კრემლისთვის სასარგებლოა? ანალიტიკოსების დიდი ნაწილი ყველაზე ცინიკურ ვერსიას ემხრობა: იოტი-სოდენადაც არ შეპარება ეჭვი, რომ ის აკეთებს მხოლოდ იმას, რასაც პუტინი ეუბნება! — აცხადებს ლიბერალი პოლიტიკოლოგი ანდრეი პონტკოვსკი. — ეს ხელისუფლების ნაქარვევი რეაქციაა იმაზე, რაც მოსკოვში დეკემბერში მოხდა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები ადამიანები არიან და არა რობოტები და როგორც არ უნდა ხისტად იყოს ორგანიზებული მატრიცა, ყოველთვის არის შანსი, რომ მსახიობებმა მოულოდნელად გადაუხვიონ სცენარიდან, როგორც ეს სექტემბერში პროსოროვმა გააკეთა. ჩაუდგრა რა ამავად სათავეში კრემლის პროექტად მიჩნეულ ლიბერალურ პარტიას პრავოე ძელო, პროსოროვი დაუპირისპირდა სურკოვს იმ პოლიტიკოსების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელთა შეყვანაც სურდა ოლიგარქს პარტიის შემადგენლობაში. სურკოვმა ეშმაკური მანევრების გამოყენებით გაიყვანა პრავოე ძელოს ლიდერი ჩარჩოებს მიღმა და აიძულა პროსოროვი, ჩაეტარებინა ძალზე ემოციური პრეს-კონფერენცია. მან დაადანაშაულა სურკოვი პარტიული ყრბობის დელეგატივით მანიპულირებაში, რათა მათ ხმა პროსოროვის წინააღმდეგ მიეცათ, და ყრბობაზე კლონი-დელეგატების ჩართვაშიც, რომლებიც მანამდე არავის ენახა. ქვეყანაში არის თოჯინების მამობრავებელი, რომელმაც დიდი ხნის წინ

მოახდინა პოლიტიკური სისტემის პრევატიზება! — განაცხადა პროსოროვმა მთელი მსოფლიოს პრესის გასაგონად. — მას ვლადისლავ იურის ძე სურკოვი ჰქვია. რეალური პოლიტიკა შეუძლებელია, სანამ პოლიტიკურ პროცესებს მართავენ ისეთი ადამიანები, როგორც სურკოვი! მართლაც! — გავიფიქრეთ ჩვენ ყველამ. ეს ხომ ყველამ ვიცოდით. პროსოროვმა აღგვიტყვა, რომ შესვდებოდა პუტინსაც და პრეზიდენტ მდევდევსაც და მიაღწევდა სურკოვის გადაყენებას. არ შეხვედრია, რაც გასაკვირი სულაც არ არის.

ახლად გამომცხვარმა კანდიდატმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ არც სურკოვთან უსაუბრია და არც პუტინთან სექტემბრის შემდეგ, მაგრამ პრობლემას მოაგვარებს, როცა სურკოვის ხელმძღვანელი გახდება.

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ პროსოროვმა კრემლის ყველაზე იდუმალ პოლიტიკურ მოღვაწეს ბოლო რაუნდი წააგო, ძალზე აბსურდულად გამოიყურება აზრი იმაზე, თითქოს ოლიგარქი ახლა ნამდვილად შეეჯახება სურკოვსა და მის უზენაეს ხელმძღვანელს — პუტინს. ოლიგარქმა, უბრალოდ, შეიძლება ყველაფერი დაკარგოს. სექტემბერში პროსოროვი იმ პატარა ბიჭს ჰგავდა, რომელსაც სათამაშო მოედანზე კანფეტები მოპარეს. ის შეეცადა დაეჩივლა აღმზრდელთან, მაგრამ მათ ურჩიეს, რომ შეგუებოდა და დასჯარგს. — ამბობს პონტკოვსკი.

გსურთ იმის მტკიცებულება, რომ სურკოვთან კონფლიქტი ნამდვილი იყო, ხოლო ეს ახალი ბრძოლა საპრეზიდენტო პოსტისთვის ყალბია? შეხედეთ, როგორ მოეკიდა ამ ორ ინციდენტს სახელმწიფოს მიერ მკაცრად კონტროლირებადი მასმედია. სექტემბერში სახელმწიფო ტელევიზიამ თავიდან საერთოდ არაფერი თქვა პროსოროვის მრისხანების გამოვლინებაზე, ხოლო კრემლის მიერ დაფინანსებულმა ინგლისურენოვანმა ტელესადგურმა რაშა თუდემ საკუთარ რეპორტაჟში პროსოროვის გადადგომის თაობაზე, არცაი ახსენა ოლიგარქის ბრალდებები სურკოვის წინააღმდეგ. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. სახელმწიფო პრეველმა არხმა საღამოს საინფორმაციო გამოშვება მილიარდერის განცხადებით დაიწყო, ხოლო რაშა თუდემ ანახა ვიდეორეპორტაჟი სათაურით პროსოროვი პუტინის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმება. რაღა თქმა უნდა, არც ერთ და არც მეორე არხს არ უჩვენებია პროსოროვისეული პუტინის კრიტიკა, ვინაიდან არანაირი კრიტიკა არც ყოფილა.

ეჭვებს, რომ ყველაფერი ჩანსოპილია, ისიც ამბავრებს, რომ სექტემბერში გადაყენებულმა ფინანსთა მინისტრმა, პუტინის ძველმა თანამებრძოლმა ალექსეი კუდრინმა, პროსოროვის განცხადებამდე რამდენიმე სათით ადრე ინტერვიუ მისცა, რომელშიც ბრძანა, პოლიტიკაში დაბრუნება მსურს ლიბერალური პარტიის შემადგენლობაში. ოლიგარქმა კი განაცხადა, რომ მათ ბევრი საერთო შეხედულება აქვთ და შეთანხმდნობა გამორიცხული არ არის. რაღაც ძალზე უცნაურად დაემთხვა ეს ორი განცხადება ერთმანეთს დროში.

და ბრალდების ბოლო სამხილი: სურკოვის განსაკუთრებულად იშვიათი და მოკლე ინტერვიუ, რომელიც მან ერთ რუს ბლოგერს მისცა. სურკოვმა თქვა, რომ რუსეთს არ ჰყოფნის ლიბერალური პარტიები და რომ გალიზიანებულ ქალაქურ ელიტას უნდა მიეცეს წარმომადგენლობა პარლამენტში. კრემლს უყვარს ზემოდან მართვა და ამიტომაც ააღივლა იგი ასე ძალიან ქვემოდან ორგანიზებულმა პროტესტმა. ისე ჩანს, რომ პროექტი სახელწოდებით პროსოროვი — ეს სურკოვის გეგმაა, რომელსაც უნდა მიეცეს ლიბერალი რუსების ხმები. სამწუხაროდ, გეგმა იმდენად გამჭვირვალეა, რომ საეჭვოა, განხორციელდეს.

მაგრამ თუ ეს ყველაფერი მართლაც ბლევია, რაში სჭირდება ის პროსოროვს? მას სურს იყოს პრემიერ-მინისტრი პუტინის პრეზიდენტობისას! — ამტკიცებს ბელკოვსკი. — მან ეს რამდენჯერმე აღნიშნა პირად საუბრებში.

ამგვარი იდეა, რომელსაც შეუძლია დაბადოს ხელისუფლების განახლების განცდა, ძალზე მართლად უღერს, სანამ ამ ორი ადამიანის სიმაღლებებს შორის სხვაობას დაინახავ. ძალზე გასაკვირი და მოულოდნელი იქნება, თუ პოლიტიკოსი პუტინი, რომელიც შეპყრობილია მანოს იმიჯით, პრემიერად დანიშნავს მილიარდერ-კალათბურთელს, რომელიც მასზე 30 სანტიმეტრზე მეტით მაღალია. ამ შემთხვევაში ხომ მათი ერთობლივი ფოტოები სიცილს გამოიწვევს.

უფრო სავარაუდოა, რომ პროსოროვს ნაკლებმნიშვნელოვანი როლი შესთავაზეს ხელისუფლებაში, ან საერთოდაც არაფერს დაპირდნენ, უბრალოდ, აცნობეს ის სცენარი, რომელიც უნდა შეისწავლოს და მოიგოს.

ასეთი დამოკიდებულება პუტინსა და ოლიგარქებს შორის! — ამბობს პონტკოვსკი, — თუ ვინმე არ ასრულებს მის ნათქვამს, შეიძლება მყისიერად დაემშვიდობოს საკუთარ მილიარდებს!

სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მილიარდერი მისილ პროსოროვის განცხადება იმის თაობაზე, რომ განზრახული აქვს პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს შეებრძოლოს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე. მას შემდეგ, რაც ამ ნიკელის მაგნატმა და კლუბნიუ ჯერსი ნეთსის მფლობელმა სექტემბერში, მანამდე გაუგონარი საჯარო კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს კრემლის მრისხანე პოლიტიკურ მოღვაწეს ვლადისლავ სურკოვს, ხოლო შემდეგ უარი განაცხადა კრემლისგან ნებადართული ლიბერალური ოპოზიციური პარტიის პრავოე ძელოს ხელმძღვანელობაზე და გაბრაზებულმა გაიჯახუნა კარი, იგი თითქმის აღარც ჩანდა. ანუ აღარ ჩანდა იმდენად, რამდენადც შეიძლებოდა უჩინარი დარჩენილიყო ორმეტრიანი მილიარდერი და ფლეიბოი.

მერე კი თითქოს არსაიდან უცბად გაისმა: მე მივიღე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: განზრახული მაქვს ვიმონანლო საპრეზიდენტო არჩევნებში!

ამის გაგონებაზე მცირე ხნით კოლექტიურად ჩამოგვივარდა ყბა. ბოლო პერიოდში რუსეთში ბევრი რამ შეიცვალა. მძლავრი საპროტესტო გამოსვლები ბალოტინაიაზე პუტინისადმი ღია დაუმორჩილებლობის უპრეცედენტო დემონსტრაციად იქცა. ეს იყო მომენტი, რომლის შემდეგაც რუსული პოლიტიკა ძველებური უკვე აღარასდროს იქნება. თუმცა ეს არ არის რეველუციის პიკი. უკანასკნელი ოლიგარქი, რომელმაც სცადა პოლიტიკა ეთამაშა პუტინისეულ რუსეთში, ციმბირის ციხეში აღმოჩნდა. ნუთუ აქ იმდენი რამ შეიცვალა, რომ 18 მილიარდი დოლარის მფლობელი რუსი მზადაა ქონებით გარისკოს და პუტინთან ბრძოლაში ჩაებას მაშინ, როცა გამარჯვების რეალური შანსები მცირე აქვს?

არის თუ არა პროსოროვი პუტინის ვაჰატორივი მონინალმდებ?

მოკლე პასუხია არა! ბალოტინაიაზე დემონსტრაციის შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ ჩამოყალიბებული ქალაქური კლასი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა ღიად და დაუფარავად, კრემლმა გადაწყვიტა წინ წამოენია პროსოროვი, რათა საპროტესტო ენერჯია გაენერტირებინა. — განუცხადა ვებსაიტ გაზეტა.რუს კრემლის ყოფილმა მრჩეველმა სტანისლავ ბელკოვსკიმ.

აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს პროსოროვმა უბრალოდ იგრძნო ახალი პოლიტიკური ატმოსფეროს მომნიშვნელობა და პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში გადაეშვა თავით, კიდევ უფრო დაუჯერებლად უღერს, თუკი პრეს-კონფერენციაზე მის ქცევას ჩავუფიქრებთ. მას რომ ეს გადაწყვეტილება მართლაც ზემოდან ყოველგვარი ნებართვის გარეშე მიეღო, მაშინ პუტინის მემკვიდრეობა, მისი მმართველობის სტილი და ქმედებები მკვეთრად უნდა გაეკრიტიკებინა, უნდა ეთქვა, რომ საზოგადოებრივი აზრი მეტად ნელა იცვლება და რომ ვინც სწორედ იგი — მისილ პროსოროვია ის კაცი, ვინც შეძლებს ამ პროცესის დაჩქარებას ყველაზე უკეთ, რომ სწორედ იგი მოაშორებს რუს ხალხს იმპერატორს.

ამის მაგივრად პროსოროვმა ისიც კი არ თქვა, ეთანხმება თუ არა საპროტესტო მოძრაობის მოსაზრებებსა და ლოზუნგებს და გამოვა თუ არა ოპოზიციის მომდევნო მასობრივ მიტინგზე. მას არაფერი უთქვამს არც იმ საპრეზიდენტო პროგრამაზე, რომელიც უნდა იქცეს მისი წინასაარჩევნო ბრძოლის საფუძვლად. ადამიანისთვის, რომელიც აცხადებს, რომ ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, პროსოროვი რაღაც უსუსურად, დაბნეულად გამოიყურებოდა და ისე ჩანდა, თითქოს მითითებებს ელოდა.

ან როგორ უნდა ავხსნათ მისი უცნაური განცხადება იმის თაობაზე, რომ ერთი თვის განმავლობაში არანაირ ინტერვიუს არ მისცემს? ამას არაფრით არ შეიძლება ეწოდოს პრეზიდენტობის კანდიდატის ტრადიციული ქცევა, რომელიც